გადაწყვეტილება

N გ-22-10/298
07/07/2022

298-გ-22-1-4-202207071352

საეთერო მაუწყებლობის მომსახურების ზონა №9-ში კერძო სპეციალიზებული რადიომაუწყებლობის ლიცენზიის მოსაპოვებლად კომისიის 2022 წლის 24 მაისის №გ-22-10 / 230 გადაწყვეტილებით გამოცხადებული კონკურსის ჩაშლილად გამოცხადების შესახებ

საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია (შემდგომში „კომისია“) აღნიშნავს, რომ კომისიის 2022 წლის 24 მაისის №გ-22-10/230 გადაწყვეტილებით გამოცხადდა კონკურსი საეთერო მაუწყებლობის მომსახურების ზონა №9-ში კერძო სპეციალიზებული რადიომაუწყებლობის ლიცენზიის მისაღებად შემდეგი სალიცენზიო პირობებით:

ა) ლიცენზიის სახე: რადიომაუწყებლობა;

ბ) ლიცენზიის სახეობა: კერძო მაუწყებლობა;

გ) ლიცენზიის ქვესახეობა: სპეციალიზებული მაუწყებლობა;

დ) გავრცელების გეოგრაფიული ზონა: საეთერო მაუწყებლობის მომსახურების ზონა №9;

ე) მაუწყებლობის მინიმალური ხანგრძლივობა დღე–ღამის განმავლობაში - 18 საათი;

ვ) მაუწყებლობის გავრცელების ტექნოლოგია და ტექნიკური პარამეტრები:

№	სამაუწყებლო ზონა/პუნქტი		FM სამაუწყებლო გადამცემის მახასიათებლები					გადამცემი ანტენის მახასიათებლები				
	საეთერო მაუწყებლობის მომსახურების ზონა	გადამცემის და ანტენის განთავსების ადგილი	სიხშირე (მჰც)	საარხო ზოლის სიგანე (მჰც)	მოდულაცია	პოლარიზაცია V / H	გადამცემის სიმძლავრე (ვტ)	გეოგრაფიული კოორდინატები	ანტენის დაკიდების სიმაღლე მიწის ზედაპირიდან (მ)	ანტენის გამლიერების კოეფიციენტი (დბ)	გასხივება	აზიმუტი (გრდ)
1	ზონა 9 - რაჭა	ამბროლაური	88.6	0.3	FM	V	200	42°30'50.00"N 43° 9'51.70"E	20	5	წრიული	_
2	ზონა 9 - რაჭა	ონი	88.1	0.3	FM	V	200	42°34'38.21"N 43°26'27.30"E	20	5	წრიული	_

შენიშვნა 1: გადამცემი სადგურის განთავსება შესაძლებელია მითითებული კოორდინატის მიმართ 500 მ რადიუსის ფარგლებში, ზღვის დონიდან გადამცემი ანტენის დაკიდების სიმაღლის შენარჩუნებით (ცდომილება ±5მ). ასევე ქსელის ფორმირებისას გადამცემის სიმძლავრის და ანტენის ტექნიკური პარამეტრების მნიშვნელობების ცდომილება არ უნდა აღემატებოდეს 5%-ს.

კომისია აღნიშნავს რომ ლიცენზიის მაძიებლების განცხადებების მიღება მიმდინარეობდა 2022 წლის 4 ივლისის 17:00 საათამდე. აღნიშნულ კონკურსში მონაწილეობაზე კომისიაში არცერთი განაცხადი არ არის წარმოდგენილი, შესაბამისად, კომისიას მიაჩნია, რომ ჩაშლილად უნდა გამოცხადდეს საეთერო მაუწყებლობის მომსახურების ზონა №9-ში, კერძო სპეციალიზებული რადიომაუწყებლობის ლიცენზიის მოსაპოვებლად, კომისიის 2022 წლის 24 მაისის №გ-22-10/230 გადაწყვეტილებით გამოცხადებული კონკურსი.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, კომისიამ „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის მე-3 პუნქტის პ) ქვეპუნქტის და 43-ე მუხლის მე-3 პუნქტის საფუძველზე, კენჭისყრის შედეგად, ერთხმად

გადაწყვიტა:

1. ჩაშლილად გამოცხადდეს საეთერო მაუწყებლობის მომსახურების ზონა №9-ში, კერძო სპეციალიზებული რადიომაუწყებლობის ლიცენზიის მოსაპოვებლად, კომისიის 2022 წლის 24 მაისის №გ-22-10/230 გადაწყვეტილებით გამოცხადებული კონკურსი;

2. გადაწყვეტილება ძალაში შედის კომისიის სხდომაზე გამოქვეყნებისთანავე;

3. დაევალოს კომისიის აპარატის ადმინისტრაციას აღნიშნული გადაწყვეტილების კომისიის ოფიციალურ ვებ-გვერდზე (www.comcom.ge) გამოქვეყნება;

4. გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქ.თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64) ერთი თვის ვადაში;

5. კონტროლი აღნიშნული გადაწყვეტილების შესრულებაზე დაევალოს კომისიის აპარატის სამართლებრივი დეპარტამენტის ავტორიზაციისა და ლიცენზირების ჯგუფს (მ. ქადეიშვილი).

კახი ბექაური

თავმჯდომარე

ვახტანგ აბაშიძე



წევრი

ნათია კუკულაძე



წევრი